



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 136

ქ. თბილისი

29 სექტემბერი 2017წ.

2017 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტით დაფინანსების
კონკურსში გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ

„დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 სექტემბრის N128/ნ ბრძანებით დამტკიცებული დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების წესის და პირობების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-7 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის, „2017 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2017 წლის 10 მარტის N13 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-7 მუხლის მე-8 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ქეთევან გაბიტაშვილის სამსახურებრივი ბარათის (N 1179854, 29.10.2017) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს 2017 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტით დაფინანსების კონკურსის რანჟირებული სიები ამ ბრძანების დანართის N1 შესაბამისად;

2. დამტკიცდეს 2017 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტით დაფინანსების კონკურსში გამარჯვებული პროექტები ამ ბრძანების დანართის N2 შესაბამისად;
3. გამარჯვებული პროექტის ავტორმა დოქტორანტებმა არაუგვიანეს 2017 წლის 20 ოქტომბრისა ფონდის კანცელარიაში უნდა წარმოადგინონ აქტიური სტატის შესახებ ცნობა შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან და ბანკის ანგარიშის ნომერი;
4. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტს დანართით გათვალისწინებული გამარჯვებული პროექტების ავტორ დოქტორანტებთან და შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2017 წლის 20 ნოემბრისა;
5. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
6. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მანანა მიქაბერიძე

